ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	ა(ა)იპ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**404378874**

ავტორიზაციის მოპოვების საფუძველზე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	➢
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	➢

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	➢
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას	

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ.თბილისი
იურიდიული მისამართი	წყნეთის გზატკეცილი N63
ფაქტობრივი მისამართი	წყნეთის გზატკეცილი N63
საფოსტო ინდექსი	0162
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.deutscheschule.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	sekretariat@deutscheschule.ge

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	032 2293100
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	შტეფანი დროლ
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	557 427090
ელ-ფოსტა	verwaltung@deutscheschule.ge leitung@deutscheschule.ge

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

III. ინფორმაცია მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის შესახებ

მონიტორინგის განხორციელების საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის ბრძანება - 093078 ა(ა)იპ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ.
მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე და წევრები (სახელი, გვარი)	**ჯგუფის თავმჯდომარე:** ლელა ფიცხელაური **წევრები:** მაია ინასარიძე

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ვიზიტის განხორციელების პერიოდი	16.02.2021 -17.02.2021
დასკვნის მომზადების თარიღი	18.04.2021
დასკვნის წარმოდგენის თარიღი	19.04.2021

ვიზიტის მიმდინარეობის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 11 თებერვლის 093078 ბრძანების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ა(ა)იპ - თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის მიერ (ს/კ:404378874) (შემდგომში - დაწესებულება) ცენტრში №71789 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 22 დეკემბრის №1218956 სხდომის ოქმში ასახული გარემოებების, ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა განხორცილდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით 2021 წლის 16 და 17 თებერვალს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

I. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	წინა ვიზიტის შედეგად გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რომელთა გამოსასწორებლადაც სკოლას 60 კალენდარული დღე განესაზღვრა. 1. სკოლაში ქართული ენა ისწავლება მხოლოდ ქართულენოვანი მოსწავლეებისთვის, რითაც დარღვეულია საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლები: (საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა) განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ ჯერ წარმოადგინა საქართველოს განათლების,

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსადმი მიმართვა, რომელშიც ითხოვს ნებართვას, სწავლება განახორციელოს დადგენილისაგან განსხვავებული სქემით: ,, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სხვა ეროვნების მოსწავლეებისათვის იყოს ფაკულტატური, დამოკიდებული მშობლების სურვილზე. ქართველი ბავშვებისათვის კი სავალდებულო, 4-საათიანი კვირეული დატვირთვით". ხოლო დამატებით წარმოადგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი განმეორებითი მიმართვა (№ 2021-02.027), რომლის მიხედვითაც, სკოლამ შეიტანა ცვლილება საათობრივ ბადეში და ქართული ენის სწავლება ყველა მოსწავლისთვის სწავლების ყველა საფეხურზე დაგეგმა სავალდებულო სახით (**დანართი 4), (დანართი 5), (დანართი 6).** 2. <u>სკოლას არ გააჩნდა სასკოლო სასწავლო გეგმა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</u> განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ, წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსადმი, გადაგზავნილი სასწავლო პროგრამები, საათობრივი ბადე, შეფასების სისტემა, გამოსაყენებელი სახელმძღვანელოები და სხვა აუცილებელი დოკუმენტაცია **(იხ. დანართი N1).** სასკოლო სასწავლო გეგმაში იმთავითვე გაცხადებულია, რომ თბილისის გერმანულის საერთაშორისო სკოლაში სწავლება თიურინგიის ფედერალური მიწის სასწავლო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმისაგან (ესგ მუხლი 3.) განსხვავებულია სწავლების საფეხურებრივი დაყოფა. კერძოდ, დაწყებითი სკოლა მოიცავს I-IVკლასებს; გიმნაზია მოიცავს საბაზო (V-X კლასებს) და საშუალო (XI-XII კლასებს) საფეხურებს. შესაბამისად, განსხვავებულადაა ფორმულირებული თითოეული საფეხურის მისია და მიზნები.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ა (ა) იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის “ მიერ შემუშავებული საათობრივი ბადის შესაბამისად. ესგ-ით გათვალისწინებული საგნების ნაწილი სრულად ამოღებულია სწავლების კონკრეტულ საფეხურზე. არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას სკოლის შეფასების სისტემაც. კერძოდ, მოსწავლეები ნიშნებით ფასდებიან III კლასიდან, მაშინ, როცა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება (მუხლი 3.1.). განსხვავებულია შეფასების კომპონენტებიც. სკოლაში მოსწავლეთა შეფასების საფუძველია საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლებისთვის გერმანიის ფედერალური მიწების კულტურისა და განათლების მინისტრთა საბჭოს (KMK) მიერ დადგენილი შეფასების სისტემა, რომელიც მოქმედებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სკოლებში. საგანმანათლებლო მომსახურებაში არ არის გამიჯნული დამატებითი სავალდებულო და დამატებითი არასავალდებულო მომსახურება. სკოლაში, ქართული ენის გარდა, არ არის გამოყენებული არცერთი გრიფირებული სახელმძღვანელო, რაც ასევე არ შეესაბამება ესგ-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს (მუხლი 25). მონიტორინგის მომენტისათვის სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან არ ჰქონდა მიღებული საპასუხო წერილი. აღნიშნული წერილი წარმოადგინეს დასკვნის პროექტის პასუხად, რომლის თანახმადაც, ,, მიუხედავად გერმანული საერთაშორისო სკოლის კურიკულუმში დაფიქსირებული სხვაობებისა საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით, ვითვალისწინებთ რა გერმანულ მხარესთან სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის თანამშრომლობის თაობაზე ურთიერთშეთანხმებიდან გამომდინარე, ასევე საქართველოში

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	გერმანულენოვანი საერთაშორისო სკოლის არსებობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტი გამოთქვამს თანამშრომლობის მზაობას გერმანულ საერთაშორისო სკოლასთან სწავლა-სწავლების პროცესის იმგვარად დაგეგმვასთან დაკავშირებით, რათა ის მაქსიმალურად იქნას შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს კანონმდებლობასთან და ეროვნულ კურიკულუმთან“(**იხ. დანართი 7).** იმის გათვალისწინებით, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა ოფიციალური ნებართვა, სასწავლო პროცესი განეხორციელებინა ესგ-სგან განსხვავებული სსგ-ით, დასკვნაში ავსახეთ, რომ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა არ შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. 3. <u>უცხო ქვეყნის მოქალაქე მოსწავლეები, რომელთა სწავლის აღიარების უფლებასაც ვერ მოიპოვებს სკოლა, ისე სწავლობენ / ასრულებენ სწავლას სკოლაში, რომ მათი ჩარიცხვა/ამორიცხვისას არანაირი ბრძანება არ იწერება. ამავდროულად, 2020 წლის 9-11 სექტემბრის მონაცემებით, 29 მოსწავლე, რომლებიც დარეგისტრირებულნი იყვნენ სკოლის შიდა ბაზაში, არ იყვნენ რეგისტრირებულნი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის განმარტებით, აღნიშნული მოსწავლეების დოკუმენტაცია სწავლის აღიარების პროცესში იყო და დასრულებისთანავე მოხდებოდა მათი რეგისტრირება განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში. როგორც სკოლის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, ისინი ცდილობდნენ მოსწავლეების დარეგისტრირებას და აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მართვის საინფორმაციო</u>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	სისტემასთან. განმეორებითი მონიტორინგის დროს 2021 წლის 16-17 თებერვლის მონაცემებით სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა ნაწილის აღიარების დოკუმენტაცია და ჩარიცხვის ბრძანებები, ასევე მოსწავლეების კანონიერი წარმომადგენლების მიერ ცენტრისთვის მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაწილი. დარჩენილი მოსწავლეებიდან 6 მოსწავლეს დატოვებული ქონდა საქართველოს ტერიტორია და სკოლა მათ შვილებს აღარ უწევდა საგანმანათლებლო მომსახურებას. ბაზაში დაურეგისტრირებელი 10 მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი იყო მოლოდინის რეჟიმში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებით. 4. სკოლას 3 მოსწავლე 2014 წელს მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით 5 წლის ასაკში ჰყავდა მიღებული, შესაბამისად, ეს მოსწავლეები წლების განმავლობაში არ ფიქსირდებოდნენ მართვის საერთო საინფორმაციო ბაზაში, რაც მათ საქართველოში მობილობის განხორციელების შესაძლებლობას ართმევდა. განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ წარმოადგინა ერთ-ერთი მოსწავლის (დაბადებული 2009 წლის 23 სექტემბერს) მშობლის მიმართვა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის, მოსწავლის მიერ ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირში“ მიღებული განათლების აღიარების შესახებ. (იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 იანვრის N 6479784937367 განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების, დასაშვებად ცნობის, საქმეში მესამე პირის ჩაბმისა და მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ საქმეზე N3/296-21) მშობლის მოთხოვნის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 26 იანვარს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	მიღებული N6480706744307 დროებითი განჩინებით N3/296-21 საქმეზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მოსწავლე სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე ჩარიცხული იქნება ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭრის კავშირის“ მე-6 კლასში. რაც შეეხება მეორე მოსწავლეს, ის წარმოადგენს გერმანიის საელჩოს თანამშრომლის შვილს. გერმანიის საელჩოს 2021 წლის 04 თებერვლის კორესპონდენციით ირკვევა, რომ გერმანული სასკოლო სისტემის მიხედვით, 5 წლის ბავშვს, რომელიც მზად არის სკოლისთვის, შეუძლია სკოლაში სწავლის დაწყება. აქედან გამომდინარე, სასკოლო მზაობის შემოწმების (გასაუბრების) შედეგად მოხდა მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვა 5 წლის ასაკში. 5. <u>სკოლას არ ჰქონდა გაწერილი 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.</u> განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ წარმოადგინა სკოლის 6-წლიანი სტარტეგიული გეგმა, სვოტ-ანალიზი და 2020-2021 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია აქტივობების ჩამონათვალი , შესრულების ვადები და მითითებულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფას, საზოგადოებასთან ურთიერთობას და სკოლის ცნობადობის გაზრდას, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებას, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნას. სასურველია 6-წლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავდეს გრძელვადიან მიზნებს წლებზე გაწერილს, პასუხისმგებელი პირის შესახებ ინფორმაციას მითითებით. 6. <u>სკოლას არ აქვს შეთანხმებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები</u>

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან. განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ წარმოადგინა წერილი , რითაც დასტურდება, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ა(ა)იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირმა“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარუდგინა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების პროექტი შესათანხმებლად **(იხ. დანართი N2).** 7. სკოლაში ასწავლის 25 მასწავლებელი, საიდანაც 9 მასწავლებელი არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოგზავნილი, ხოლო 16 ქართველი მასწავლებელია. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სკოლას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან შეთანხმებით შემუშავებული ჰქონდა მასწავლებლების ალტერნატიული შეფასების სისტემა, თუმცა ალტერნატიული შეფასების სისტემა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ივნისის N390 დადგენილებით გაუქმდა. განმეორებითი მონიტორინგის დროს სკოლამ წარმოადგინა მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელზე, დართონ ნება მასწავლებელთა შერჩევის პროცესი დაგეგმონ საქართველოში დადგენილი სტანდარტებისგან (მოქმედი კანონმდებლობისგან) განსხვავებული წესით. კერძოდ, უცხოელი მასწავლებლები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	შეარჩიონ მათი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მიხედვით, რადგან ,,უცხოელი მასწავლებლები ენის ბარიერის გამო ვერ შეძლებენ საგნის გამოცდის ჩაბარებას და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში ჩართვას, მათ შორის სქემით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას". ამავდროულად, სკოლამ მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, კონკურსის გზით 2021 წლის 18 იანვარს მიღებული 6 პედაგოგი ჩართონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში **(იხ. დანართი 3).**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

II. გამოვლენილი შეუსაბამობების შეჯამება

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამებ*	*არსებული შეუსაბამობა*
ქვესტანდარტი	*1.1.*	ვიზიტის პერიოდში არსებული გარემოებებით სასკოლო სასწავლო გეგმა შეუსაბამოა ეროვნულ-სასწავლო გეგმასთან, კერძოდ: • ა (ა) იპ „თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და მხარდაჭერის კავშირის “ მიერ შემუშავებული საათობრივი ბადით ესგ-ით გათვალისწინებული საგნების ნაწილი არ ისწავლება. არ ხდება შესაბამისი საგნების სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება . მაგალითად, ,,საქართველოს გეოგრაფია,“ ,, ჩვენი საქართველო“, მოქალაქეობა. • მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ -სგან სრულად განსხვავებული- გერმანული შეფასების სისტემის მიხედვით, მათ შორის განმსაზღვრელი შეფასებით, სწავლების დაწყებით საფეხურზეც. პროგრამის დაუძლეველობის შემთხვევაში დაშვებულია კლასის განმეორება. საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა დაწყებით საფეხურზე მოსწავლის კლასში ჩატოვების უფლებას.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ქვესტანდარტი	**3.2**	ვიზიტის პერიოდში არსებული გარემოებებით სკოლაში აღრიცხულ მოსწავლეთა ნაწილი (10 მოსწავლე) არ არის რეგისტრირებული ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში (eschool.emis.ge)

II. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა კულტურული დიალოგის გერმანულენოვანი სკოლაა.ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანულენოვანი ქვეყნებიდან ჩამოსული მოსწავლეები ქართველ და სხვა ეროვნების ბავშვებთან ერთად სწავლობენ და ცხოვრობენ. მათ გერმანელი და ქართველი პედაგოგები ასწავლიან. სკოლა 2010 წელს დაარსდა, სკოლა ფუნქციონირებს გერმანიიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან ჩამოსული ბავშვებისთვის, რომლებიც თავიანთ მშობლებთან ერთად თბილისში დროებით იმყოფებიან; საქართველოში მცხოვრები ბავშვებისთვის, რომელთა მშობლიური ან მეორე ენა გერმანულია; ქართველი ან სხვა ეროვნების ბავშვებისთვის, რომელთა მიზანია, გერმანულს დაეუფლონ ან გერმანულენოვანი განათლება მიიღონ. სკოლის მოსწავლეები გერმანიაში აღიარებულ სასკოლო განათლებას მიიღებენ, ამასთან, საქართველოს კულტურასა და ქართულ ენას შეისწავლიან.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	სკოლაში ქართველი და სხვა ეროვნების მოსწავლეები გერმანულენოვან სასწავლო გარემოში გერმანულ ენასა და კულტურას ეცნობიან. სკოლაში ძირითად საგნებს გერმანელი პედაგოგები ასწავლიან. ამ მიზნით საზღვარგარეთ არსებული გერმანული სკოლების მთავარი სამმართველო (ZfA) სკოლის დირექტორსა და პედაგოგებს გერმანიიდან მოავლენს. გარდა ამისა, სკოლაში სათანადო პედაგოგიური განათლებისა და გერმანული ენის საუკეთესოდ მცოდნე ადგილობრივი მასწავლებლებიც მუშაობენ. სკოლა გასცემს გერმანულ ატესტატებს, რაც გერმანულ სასკოლო სისტემაში შეუფერხებელი გადასვლის საშუალებას იძლევა. სკოლაში სწავლის დაწყება მთელი სასწავლო წლის განმავლობაშია შესაძლებელი. თორმეტი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მოსწავლეებს გერმანული საერთაშორისო გამოცდების (DIAP) ჩაბარება შეუძლიათ, რაც მათ გერმანიასა და მრავალ სხვა ქვეყანაში უმაღლესი განათლების მისაღებად უპირატესობას მიანიჭებს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

დაწესებულების მისია	სკოლის მისია წარმოადგენს სკოლის ღირებულებათა ერთიანობას, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს. სკოლის მისია უნდა დაგვეხმაროს მასში ჩამოყალიბებული საფუძვლების იმპლემენტირებაში. სკოლის მისია არის გზა, რომელსაც უნდა გაჰყვეს სკოლა იმისათვის, რომ საკუთარ მიზანს მიაღწიოს. თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მისიაა: **თ**ანადგომა, ტოლერანტობა, ფასეულობების სწავლება **გ**ერმანული ენა და კულტურათაშორისი დიალოგი

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

სწავლება და სწავლა ინოვაციური მეთოდებით

სოციალური კომპეტენცია და დამოუკიდებლობა

თანადგომა, ტოლერანტობა, ფასეულობების სწავლება

თბილისის საერთაშორისო სკოლის მოსწავლეები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები არიან. კულტურებისა და პიროვნული ხასიათების მრავალფეროვნებას ჩვენ აღვიქვამთ, როგორც სიმდიდრეს, რადგან ეს მრავალფეროვნება გვეხმარება ისეთი ღირებულებების გადაცემაში, როგორებიცაა პატივისცემა, ტოლერანტობა, ემპათია და განსხვავებული აზრის მიღების უნარი.

თბილისის გერმანულ საერთაშორისო სკოლაში მოსწავლეები დემოკრატიულ პრინციპებთან შეხების პირველ გამოცდილებას იღებენ. ჩვენს სკოლაში არსებულ მოსწავლეთა თვითმმართველობაში

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

მონაწილეობით სწავლობენ, რომ ისინი საჭირონი არიან და რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია. ასევე სწავლობენ ცოდნის მიღებაზე პასუხისმგებლობის აღებასა და სხვა ადამიანებთან კომუნიკაციას.

გერმანული ენა და კულტურათაშორისი დიალოგი

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა კულტურული დიალოგის სკოლაა, სადაც გერმანელი და არაგერმანულენოვანი ბავშვები ერთად იღებენ განათლებას. ცოდნისა და კომპეტენციების გადაცემა ხორციელდება თიურინგიის ფედერალური მიწის სასწავლო გეგმით, მისი მიზანი საშუალო განათლების ატესტატისა და გერმანული საერთაშორისო აბიტურის გაცემაა (DIA). სასწავლო ენა არის გერმანული ენა. გერმანული სასწავლო მასალა და დამატებითი გაკვეთილები ემსახურება გერმანული ენის სწავლების ხელშეწყობას. ტრადიციული დღესასწაულების ერთად აღნიშვნა გერმანულ და ქართულ კულტურებს ერთმანეთთან აახლოებს.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

სწავლება და სწავლა ინოვაციური მეთოდებით

თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლა სთავაზობს მაღალი ხარისხის განათლებას, ამისთვის დამოუკიდებელი მოქმედებისთვის საჭირო სივრცეს ქმნის. პედაგოგიური საქმიანობის მიზანი გაკვეთილის ფარგლებში მოსწავლეების ძლიერი მხარეების განვითარება და მათი ინდივიდუალური დახმარებაა. თანამედროვე სასწავლო გარემოში მოსწავლეები საგნობრივი კომპეტენციების შესწავლის პარალელურად მედიალურ და მეთოდურ უნარებსაც იძენენ. კომპეტენციის ტესტში მონაწილეობით, როგორიცაა, მაგალითად, თიურინგიის მიწის კომპეტენციის ტესტი, შესაძლებელია ჩვენი სკოლისა და გერმანიის სკოლების შედეგების შედარება.

სხვადასხვა ეროვნების თანამშრომლები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას პროფესიული განვითარების სემინარებში სკოლის შიგნით და სკოლის გარეთ. მუდმივი კომუნიკაცია და კოლეგიალური დასწრებები ამაღლებს გაკვეთილების ხარისხს. პედაგოგიური ხარისხის მენეჯმენტის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ფარგლებში მუდმივად ვითარდება პედაგოგიური კონცეპტი საგნისთვის - გერმანული ენა, როგორც უცხო ენა (DAF) და გერმანული ენა, როგორც სასწავლო ენა (DFU).

მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არსებობს აქტიური უკუკავშირის კულტურა, რაც მოსწავლეების უნარ-ჩვევებს კიდევ უფრო ავითარებს.
გამჭვირვალე წესები, ჩართულობა და ფსიქოლოგის დახმარება ქმნის მოსწავლეებისათვის კომფორტულ გარემოს. საბავშვო ბაღისა და სკოლის კავშირი ხელს უწყობს სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას, ხოლო მრავალფეროვანი ნაშუადღევის პროგრამა - მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებასა და ახალი ინტერესების ჩამოყალიბებას.
ცოდნის გადაცემა ხდება არა მხოლოდ სკოლაში, არამედ სკოლის გარეთაც: რეგულარული ექსკურსიები და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები მოსწავლეებს ეხმარება, განამტკიცონ მიღებული ცოდნა და ხელს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

	უწყობს მოსწავლეების პერსონალური და სოციალური კომპეტენციების გავნითარებას, ასევე ჯგუფის წევრების ურთიერთთანამშრომლობას. **სოციალური კომპეტენცია და დამოუკიდებლობა** თბილისის გერმანული საერთაშორისო სკოლის მთავარი მიზანი მოსწავლის დამოუკიდებელ და პასუხისმგებლობის მქონე ადამიანად აღზრდაა, რომელსაც საკითხების კრიტიკული შეფასების უნარი ექნება. ამის წინაპირობა კი არის შემდეგი უნარ-ჩვევებისა და თვისებების ჩამოყალიბება: სოციალური კომპეტენცია, გუნდური მუშაობის უნარი, ინიციატივის გამოხატვის უნარი, განსხვავებული აზრის მიღების უნარი, თავისუფალი აზროვნებისა და კრიტიკული აზროვნების უნარი.ინდივიდუალური ძლიერი მხარეებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარება მოსწავლეს დაეხმარება, გახდეს მსოფლიო საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.თეორიული და ასევე პრაქტიკული ცოდნის გადაცემის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საგნებშორის სწავლებას.მოტივაციის ამაღლებასა და მუდმივი განვითარებისთვის მზაობას ხელს უწყობს სწავლების სხვადასხვა მეთოდი, გასაკუთრებით თანამშრომლობითი სწავლების მეთოდი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

IV. მონიტორინგის ვიზიტის შეჯამება

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ფუნქციონირებს ავტორიზებულ რეჟიმში, არსებობს შეფასების მიზნებისათვის დამატებით გასათვალისწინებელი გარემოება, კონკრეტულად კი, როგორც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2020 წლის 27 ოქტომბრის N1043959 განმარტებიდან ირკვევა, 2010 წლის 16 ივნისს ხელმოწერილი ერთობლივი განცხადება განზრახვის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროს შორის თანამშრომლობის თაობაზე თბილის გერმანული საერთაშორისო სკოლის დაფუძნებისა და საქმიანობის მიზნით, შინაარსით წარმოადგენს ორმხრივ შეთანხმებას და მისი დებულებები ეყრდნობა "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ" 1993 წლის შეთანხმების მე-15 მუხლის დებულებებს. აღნიშნულს ადასტურებს როგორც 2011 წლის 6 ივნისით დათარიღებული მინისტრის მოადგილის წერილი, ასევე ის გარემოება, რომ 2016 წელსაც განუახლდა ავტორიზაცია აღნიშნულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფაქტი და სხვა გარემოებები, რომლებიც მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა, შესაძლებელია შეფასდეს ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობად, თუმცა დაწესებულებას ამისი შესაძლებლობა მიეცა ქართულ და გერმანულ სამინისტროებს შორის 2010 წელს გაფორმებული შეთანხმების და სამინისტროს 2011 წლის 6 ივნისით დათარიღებული წერილის საფუძველზე.

ზემოთ აღნიშნული ქმნის გარკვეულ სამართლებრივ კაზუსს. ჩვენი რეკომენდაციაა, დაწესებულებამ ფუნქციონირება განაგრძოს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ქუდქვეშ ან ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით საზღვარგარეთ აღიარებული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საქართველოში აღიარების შესახებ დადგენილი წესით, რაც გაათავისუფლებს მას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ვალდებულებისაგან, ან უზრუნველყოს სრული შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტების

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

მოთხოვნებთან, რაც აღარ შეუქმნის
სამართლებრივ პრობლემებს სკოლის მოსწავლეებს მობილობასთან ან სკოლის მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარებასა და მოსწავლეთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

VIII. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N1 - გერმანული საერთაშორისო სკოლის წერილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსხვავებულ სწავლებაზე – გვ. 6

დანართი N2 - წერილი სამინისტროს უსაფრთხოების წესის შეთანხმებაზე- გვ. 1

დანართი N3 - წერილი სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს
მასწავლებლების სქემაში ჩართვაზე - გვ.3

დანართი N4- გერმანული საერთაშორისო სკოლის
წერილი განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს ქართული ენის სწავლებასთან
დაკავშირებით- გვ.2

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

დანართი N5-გერმანული საერთაშორისო სკოლის წერილი განათლებისა განათლების ხარისხის განვითრების ეროვნულ ცენტრს, ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით- გვ.2

დანართი N6- სკოლის საათობრივი ბადე - გვ.1

დანართი N7-განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საპასუხო წერილი სკოლას - გვ.5

თბილისი, 19.04.2021

გვერდების რაოდენობა: 28

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....